



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო  
TELAVI MUNICIPALITY COUNCIL



განკარგულება:გ-27. 27233342

თარიღი:30/11/2023

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 52

30 ნოემბერი 2023 წ.

ქ. თელავი

**თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების  
სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შ ე ს ა ს ე ბ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტისა და 108-ე მუხლის შესაბამისად,

**1.** გადაეცეს სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი უძრავი ქონება:

**ა)** სოფელ ართანაში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 268 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 53.15.34.286) და მასზე განთავსებული ამბულატორიის შენობა-ნაგებობა;

**ბ)** სოფელ აკურაში მდებარე შენობა-ნაგებობის (საკადასტრო კოდი: 53.01.43.000.044) I სართულზე არსებული 131.22 კვ.მ. ამბულატორიისათვის განკუთვნილი ფართი;

**2.** განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე;

**3.** განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზ. №41).

მამუკა ბურდიაშვილი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს  
თავმჯდომარე (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი

